აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი № 9

04 აგვისტო 2016 წელი **ქ. ბათუმი**
11[00] საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონია.

სხდომას ესწრებოდნენ: გუგული დუაძე, სოფიო კახაძე, ზურაბ გოლიაძე, რამაზ გოლომანიძე, თორნიკე მჟავანაძე, მაკა ლომაძე, შორენა ჭაღალიძე, კახაბერ ჯაიანი, ნუგზარ ბაჯელიძე, და მამუკა ჯაში.

არ ესწრებოდნენ: ირაკლი გვარამია და მამუკა კოპალეიშვილი.

აგრეთვე ესწრებოდნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტის „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ წარმომადგენელი - დარეჯან ალანია და მასმედიის წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. დადგენილება - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ლოგოს დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №3 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

2. განკარგულება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ლოგოს დამტკიცების შესახებ;

3. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჯაიანმა, გუგული დუაძემ და პარმენ ჯალაღონიამ.

კახაბერ ჯაიანმა კომისიას შესთავაზა წარმოდგენილ დღის წესრიგში „სხვადასხვაში“ უსკოს რეგლამენტის მე-18

მუხლის მე-8 პუნქტში - უსკოში შემოსული ნებისმიერი საარჩევნო დოკუმენტაცია საჯაროა გასაცნობად უსკოს წევრებისა და საჭიროებისამებრ უსკოს აპარატის თანამშრომლებისათვის. აკრძალულია, უსკოში შემოსული და უსკოს მიერ მომზადებული ინფორმაციის გატანა უსკოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე (გარდა საჯარო ინფორმაციისათვის დადგენილი წესით გამოთხოვილი ინფორმაციისა) ცვლილების შეტანის ან/და შესწორების შესახებ. მან აღნიშნა, რომ უსკოში შემოსული და უსკოს მიერ მომზადებული ნებისმიერი დოკუმენტი მათ შორის ასლის მიღება უნდა შეეძლოს უსკოს წევრს მოთხოვნისთანავე, თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მისი ნებართვის გარეშე.

გუგული დუაძემ განმარტა, უსკოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას კანონმდებლობის შესაბამისად ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. ასევე აღნიშნა, რომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირი არის უსკოს მდივანი, რომელიც ვალდებულია კანონმდებლობის შესაბამისად, გასცეს ან უარი უთხრას განმცხადებელს მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციაზე.

პარმენ ჯალაღონიამ აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით. უსკოში შემოსული ნებისმიერი დოკუმენტაცია საჯაროა გასაცნობად უსკოს წევრებისა და საჭიროებისამებრ აპარატის თანამშრომლებისათვის. შესაბამისად, უსკოს წევრისათვის ხელმისაწვდომია მოთხოვნისთანავე გაეცნოს და მიიღოს ყველა სახის დოკუმენტაცია, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე	11;
წინააღმდეგი	0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. დადგენილება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ლოგოს დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №3 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

2. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ლოგოს დამტკიცების შესახებ;

3. სხვადასხვა.
ინფორმაცია - წინასაარჩევნო აგიტაციაში უცხო ქვეყნის მოქალაქის მონაწილეობის გამო შესაბამისი სანქციის გამოყენების თაობაზე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის განცხადება.

1. დადგენილება
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ლოგოს დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №3 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ლოგოს დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №3 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ლოგოს დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №3 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 11;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი:)

დადგენილება მიღებულია:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ლოგოს დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №3 დადგენილება (გაზეთი „აჭარა“ 23.05.2006 წელი, N91).

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. განკარგულება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ლოგოს დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ლოგოს დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი და კომისიას წარუდგინა ორი იდენტური უსკოს ლოგოს ნიმუში ფერთა სხვადასხვაობით N1 (ზურმუხტისფერი) და N2 (ფირუზისფერი).

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ლოგოს დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ ნიმუში N1 (ზურმუხტისფერი).

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 2;
წინააღმდეგი 9;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი:)

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ლოგოს დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ ნიმუში N2 (ფირუზისფერი).

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 9;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი:)

უმაღლესი საარჩევნო კომისიის ორმა წევრმა კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავი შეიკავა.

განკარგულება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ლოგო თანდართული ნიმუშის მიხედვით.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტი ამოქმედდეს, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ლოგოს დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №3 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 04 აგვისტოს N9 დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.
(თან ერთვის)

3. სხვადასხვა.

ინფორმაცია - სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ ინფორმაციის სახით კომისიას გააცნო უსკოში 01/08/2016 წ. (უსკოში რეგისტრაციის N01-26/70) შემოსული საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის განცხადება - წინასაარჩევნო აგიტაციაში უცხო ქვეყნის მოქალაქის მონაწილეობის გამო შესაბამისი სანქციის გამოყენების თაობაზე.
პარმენ ჯალაღონიამ აღნიშნა, რომ აღნიშნული განცხადება შესწავლილი იქნა უსკოს იურიდიული სამსახურის მიერ და დადგენილი იქნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქარველოს საარჩევნო კოდექსი“-ს და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის თანახმად, საქართველოს ახალაგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის განცხადების გამო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს როგორც ცესკო ასევე შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.
სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის პირველი პუნქტის (თუ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის

გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნოს განცხადება და მასზე დართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს.) თანახმად, განცხადება და თანდართული მასალები უნდა გადაეგზავნოს N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიას, შემდგომი რეაგირებისათვის.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	**პარმენ ჯალაღონია**
კომისიის მდივანი	**სოფიო კახაძე**